ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 7
25 მაისი. 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ
2. მაგისტრებისთვის ენის ცოდნის დონის განსაზღვრის შესახებ
3. სტუდენტთა სტიპენდიებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დახვეწის შესახებ.
4. სადოქტორო პროგრამებზე წინაპირობების შეცვლის შესახებ ინფორმაცია
5. ლალი სურმანიძის ინფორმაცია სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებით
6. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის პედაგოგიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულების, მათ შორის ემმა ინასარიძის და ნონა ინასარიძის, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გდაწყვეტილების (ოქმის) აღდგენისა და თარიღის განსაზღვრის შესახებ.
7. სხვა და სხვა საკითხები

სხდომას ესწრებოდნენ:
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თ. გაგოშიძე.
ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
<u>ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან:</u>, პროფესორი გ. მაღრაძე; ასოც./პროფ.-ები: შ. აბზიანიძე, მ. მელიქიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ლ. სურმანიძე, თ. აბაშიძე, ა.ქიტიაშვილი, გ.გოროშიძე
ასისტ./პროფ.-ები: ე. ფირცხალავა, მ.დესპოტაშვილი,ი.ჟვანია, ი.გედევანიშვილი
შ. მამუკაძე, ლ.ხეჩუაშვილი.
<u>განათლების დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ქ. ჭკუასელი,
ასოც./პროფ.-ები: ი. პეტრიაშვილი,
ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.
<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>
ბ.დადეშქელიანი, ს.კიკვიძე, ბ. ხვედელიძე, გ.სალია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 22 წევრი.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას პირველი საკითხის განხილვისასა ესწრებოდა თსუ-ს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე.

განიხილეს:

1. კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ შემოტანილი წერილი სამაგისტრო პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ.

აღნიშნული წერილით, სტუდნეტებმა თავდაპირველად მიმართეს რექტორს, ხარისხის მართვის სამსახურს, უნიევსრიტეტის იურიდიულ განყოფილებას და მხოლოდ შემდეგ მათი რჩევის საფუძველზე განცხადება შემოტანილი იქნა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში დეკანის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე.

პროფ. თამარ გაგოშიძემ გააცნო საბჭოს მისი პირადი პოზიცია, მისი აზრით " სადაც პროგრამა და მისი ხელმძღვანელი უკეთ იგრძნობს თავს იქ უნდა იყოს" მაგრამ ეს მისი პირადი პოზიციაა. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტები არც ერთხელ შეხვედრიან მას მთელი ამ ხნის განმავლობაში და მხოლოდ წინა კვირის ხუთშაბათს შეხვდა რამდენიმე წარმომადგენელს. დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საკითხი თავისი სირთულისა და დელიკატურობის გამო გამოტანილია საბჭოზე და ფაკულტეტის საბჭომ უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება. მან ასევე შეახსენა საბჭოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ელოდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თ. გაგოშიძე: სტუდენტების წერილში წერენ, რომ მათ დეკემბრის თვეში აღმოჩინეს პროგრამის სხვა ფაკულტეტზე არსებობა. ისინი ჩივიან, რომ არ აქვთ კარიერის გაგრძელების საშუალება, რადგან მათ დიპლომში არ იქნება ჩანაწერი, რომ დაამთვარეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. რადგანაც მათ უნდათ სწავლის გაგრძლება სხვა ევროპულ უნივერსიტეტებში, ეს უნივერსიტეტები მათგან ითხოვენ მაინცდამაინვ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გაცემულ დიპლომს. მე დავინტერესდი საკითხის ასე დაყენებით. არ დამეზარა და ეს ყველაფერი გადავამოწმე - შევისწავლე სხვადასხვა უნივერსიტეტის საიტზე მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები. არსად არ წერია, რომ იღებენ აუცილებლად კონკრეტული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს. ყველგან აღნიშნულია სფერო, მაგ. სოციალური მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ. მაგრამ სტუდენტები არ იღებენ ამ აგუმენტებს და ითხოვენ ამ საკითხის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტას. ამის მეორე არგუმენტად მოყავთ ის, რომ მათ არავინ ჰკითხა ახალ ფაკულტეტზე უნდოდათ თუ არა გადასვლა, რომ ისინი არ იყვნენ ინფორმირებული. თუმცა მიმაჩნია, რომ ინფორმაცია ყველგან ვრცელდებოდა - საიტზეც ფეისბუკითაც.

ისინი ითხოვენ, რომ სამაგისტრო ხარისხი კონფლიქტების ანალიზსა და მართვაში მიანიჭოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა. უნივესრიტეტის სხვადასხვა ინსტანციაში ბევრი მოგზაურობის მიუხედავად მათი გადარწმუნება ვერ

მოხერხდა. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, პროგრამის ხელმძღვანელი სადაც იგრძნობს კომფორტულად თავს,იქ უნდა იყოს, მაგრამ მე არ ვარ ამ პროგრამის ხელმძღვანელი. ამ პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გუგული მაღრაძემ, მომწერა წერილი რომლშიც მწერს, ეს წერილი ქლბატონო ტატა(თამარ ვეფხვაძე) ალბათ თქვენც მოგივიდათ, რომ თვლის, თუ შესაძლებელია დროებით გადავიდეს ეს პროგრამა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე სექტემბრამდე და მერე ისევ დაბრუნდეს უკან რომ ამით შევძლოთ და დავაკმაყოფილოთ სტუდენტების მოთხოვნა, ჩაეწეროთ დიპლომში რასაც ისინი ითხოვენ. ახლა წაგიკითხავთ გუგული მაღრაძის ბოლო წერილს, რომელშიც წერია, რომ:

"მე ავსახე ჩემი პოზიცია იმ წერილში, რომელიც ჩაბარებულია ოფიციალურად და მასში გადმოცემულია არგუმენტები იმასთან დაკავშირებით რომ ეს პროგრამა შეიქმნა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და მისი არსებობა მომავალშიც მოიაზრება ამ ფაკულტეტზე. რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებიც ითხოვენ, რომ რადგან 2 წლის წინ მათ ჩააბარეს ამ პროგრამაზე, სოც-პოლის ფაკულტეტზე და შესაბამისად უნდათ ეს აისახოს მათ დიპლომში, ეს საკითხი სცილდება ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციას და მის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს თსუ-ს შესაბამისმა სამსახურებმა და მართვის ორგანოებმა. თუ სხდომისთვის არ იქნება წარმოდგენილი მათი პოზიცია, ჩვენი საუბარი არის უსაგნო. ამდენად სხდომის ორგანიზატორებს გთხოვთ უზრუნველყოთ ამ ორგანოების გადაწყვეტილების მოწოდება, სხვაგვარად სხდომაზე ამ საკითხის განხილვის აზრს ვერ ვხედავ, რადგან ჩვენი მოსაზრება ნათლადაა დაფიქსირებული ოფიციალურ წერილში(დაინტერესებულებს შეუძლიათ მისი გაცნობა ფაკ-ის დეკანთან).

პატივისცემით,

გუგული მაღრაძე. "

ქ-ნი გუგულიც სადაცაა მოვა, და დაადასტურებს თავის პოზიციას, ახლა მე მოგახსენებთ ჩემს პოზიციას, ამ საკითხთან დაკავიშრებით, მე ცოტა აბსურდად მეჩვენება პროგრამა ჯერ გადავიდეს და მერე გადმოვიდეს, მაგრამ პოზიცია ასეთია და ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ.

სტუდნეტი ბექა დადეშქელიანი: ჩემთვისაც პირადად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რადგან მე ამ პროგრამაზე ვაბარებ და ვემზადები ამ ფაკულტეტზე ჩავაბარო და არა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკუტლეტზე.

საკითხის უკეთ გასაგებად და გასარკვევად კითხვები დასვა ასოც.პროფ, გ. გოროშიძემ: რას ნიშნავს პროგრამის გადატანა ან გადმოტანა? ამას თან ახლავს შტატების საკითხი, აქ იქნებიან პედაგოგები და პროგრამა იქ იქნება, თუ როგორ?

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას პირველი საკითხის განხილვისასა ესწრებოდა თსუ-ს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ვეფხვაძე.

თამარ ვეფხვაძე:" მოგესალმებით კოლეგებო, ყველას პირველ რიგში საკითხის ასე დასმა არის უცნაური, ქალბატონი გუგული აზრით, ადმინისტრაციამ ერთი ხელისმოსმით გადაწყვიტოს ეს საკითხი მოწყვეტლია რეალობას რბლად რომ ვთქვათ, რადგან არ არსებობს ვერტიკალური შტო და იმპერატივი, და ასეც რომ იყოს რამდენიმე სტუდენტის სურვილზე დაფუძნებული მოთხოვნის ასე ერთმნიშნველოვბანად ადმინისტრაციის მხრიდან გადაწყვეტა ცოტა რელაობას მოკლებული მეჩვენება.

სახეზე გვაქვს 10 სტუდენტის წერილი, თუმცა როცა მოდიან სასაუბროდ 10 არასდროს მოდის, ძირითად სამნი მოდიან შეხვედრაზე- 1 გოგონა და 2 ვაჟი. სტუდენტები ამბობენ, რომ პროგრამის შინაარსი თავისი აგებულებით სოციალურ-პოლიტიკურია და მათთვის გაუგებარია, რატომაა ახალ ფაკულტეტზე.
საკითხი ცოტა რთულია, შესაბამისად ეს უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. თუმცა პირადად ჩემი აზრია, რომ ეს არის ქარიშხალი ჭიქაში, არანაირი ობიექტური მიზეზი სტუდენტის შიშებს არა აქვს. ჩემთან არაეთგზის ბრძანდებოდნენ და მათ არაერთხელ განემარტათ ამ საკითხის შესახებ, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს გამოყენებით მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ დიპლომზე ფაკულტეტის მითითებით, მთავარი არის სპეციალობა და კვალიფიკაცია და არა ფაკულტეტის სახელი.

თუმცა მათი პოზიცია გახლავთ, რომ მათთვის მომხიბლველი იყო ის, რომ დიპლომის ყდაზე იყოს მითითებული იქნება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებთა ფაკულტეტი , ისინი ახლა დაჩაგრულად გრძნობენ თავს, რადგან ყდაზე ის არ დაფიქსირდება ის,რაც იყო მათი არჩევანი.
ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, და ეს მათაც ავუხსენი, რომ არსებობს სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომლიც უშვებს თეატრმცოდნეს, ეს არის ფაკულტეტის დასახელება, რომლიც უშვებს შესაბამის სპეიცალობებს და ამით თეატრმცოდნის სპეციალობა და კვალიფიკაციას არაფერი ემუქრება, თუმცა მათი პოზიცია არის ურყევი.
ახლა მოგახსენებთ რა არის ამ მოვლენის ნეგატიური მათი ამ განცხადებას შემდეგ მოჰყვა შემდეგი რამ - თუ ეს ასე არ იქნება, პრესას მოვიწვევთ, ჩვენ ტლევიზიებს ჩავრთავთ და ა.შ.
ჩვენ პრესის და ტლევიზის შიში არ გავქვს, მაგრამ მაინც არ არის სასიამოვნო.

თუ განვიხილავთ იმ გამოსვალს, რომ პროგრამის ტრანსფერი განხორციელდება, რაზეც ქალბატონი თამარის (თამარ დოლბაია, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი) აზრი ვიცი, ის ორი ხელით ეგებება ამ პროცესს, როცა გაერთიანებული შეხვედრა იყო. ქალბატონი მანანაც(ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებატა ფაკულტეტის ხარისხის მართვის უფროსი) ესწრებდა ამ შეხვედრას, არჩილთან (იგულისხმება არჩილ კუკულავა თსუ-ს იურიდიული სამსახურის უფროსი) კიდევ ერთხელ გავიარეთ კონსულტაცია. ჩვენ დავეჭვდთ იმაზე, რომ ხომ არ იქნება შემდეგი პრობლემა ის, რომ სტუდენტებს, თუ პროგრამა გადავა, მობილობით მოუწიოთ გადასვლა, რაც ვერ მოესწრება. როცა ჩვენ იურიდული განყოფილებას მივმართეთ, მათ თქვეს რომ არ დასჭირდებათ ეს, რადგან ისინი ბრძანებით იყვნენ გადმოსულები და ბრძანებასვე გაყვებიან უკან, და მათ არანაირი მობილობა არ დასჭირდებათ. თუმცა იურიდიულმა სამსახურმა ცალსახად აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გადასვლის განცხადებაზე აბსოლურუტად ყველა სტუდენტის ხელმოწერა თავისი პირადობის მოწმობებით, რაც უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობით. პირველი კურსელის პოზიცია სულ სხვაა და ზეპირსიტყვიერად დაფიქსირებას საფუძვლად უნდა ედოს წერილობითი ხელმოწერა ან ერთ გადაწყვეტილებაზე და ან მეორეზე.
ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა, რომ თავიდანე ასე საკითხის დასმა არ არის საჭირო, არასერიოზული იქნებოდა - გადასვლის და შემდეგ უკან გადმოსვლის იდეა. თანაცპროგრამის უზრუნველმყოფელები თითქმის ყველა ფსიქოლოგები არიან კვალიფიკაციით ფსიქოლოგები და ამ ფაკულეტეტის აკადემიური პერსონალი.
რეპლიკა: გუგული მაღარძისგან ყველა ფსიქოლოგია, ლაშა ტუღუშის გარდა.

რეპლიკა: ლაშა არ არის ფსიქოლოგი, მაგრამ შტატი ჩვენია ფაკულტეტისაა, რატომ გაუგებარია, მაგრამ მაინც ასეა.
 თამარ ვეფხვაძე- ამ პროგრამის გადატანის განხილვის დროს ესეც გახმოვანდა, რომ გადასვლის შემთხვევაში შტატი სად მიდის? მაგრამ თუ პროგრამის გადასვლა და შემდეგ გადმოსვლა მოხერხდება, რაც არ მგონია,უკან გადმოსვლის საფუძველი იქნებოდა ის, რომ მთელი აკადემიური პერსონალი ეკუთვნის თქვენს ფაკულტეტს, და არანაიარი გარე საფრთხე არ არსებობს

საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები:

ეკატერინე ფირცხალავა: თქვენ ბძრანებდით, რომ როგორც სტუდენტები ამბობენ, შინაარსი არ არის ფსიქოლოგიური. როცა ეს პროგრამა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე შეიქმნა და მოწმე ვარ ამისი, ქალბატონო გუგული თქვენთან მაქვს კითხვა მას მერე მისი შინაარსი შეიცვალა?, ახლა დიდი განსხვავებაა იმ პროგრამას და ამ პროგრამას შორის?
 გუგული მაღრაძე: არ არის უბრალოდ არჩევითში გადავიტანე ზოგიეთი ისეთი საგანი, რაც ადრე იყო აუცილებელი. შინაარსი გავხადე უფრო მოქნილი ინტერდისციპლინურობის გამო, თორემ ასწავლიან ჩვენი პროფესორები, მხოლოდ ცოტაა გარედან მოწვეული პროფესორები.
 ეკატერინე ფირცხალავა - მაშინ რას ჩივიან გაუგებარია, თუკი პროგრამა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სტანდარტებს შეესაბამება?
 თამარ ვეფხვაძე: საუკეთესო გამოდავალი ალბათ ჩემი აზრით, მაგრამ პროფესიონალების აზრთან როგორ მოვალ დისონსნში, მაგრამ სამომავლოდ ეს პროგრამა რომ ორი მოდულისგან შედგებოდეს, სოცილური და პოლიტიკური კონფლიქტებისგან, ერთი იქ იყოს და მეორე აქ უკეთესი იქნებოდა ჩემი აზრით, მაგარმ ეს ჩემი აზრია და იმ სტუდენტებსაც ეს მოეხსნებოდათ ეს პრობლემა.

ბელა პეტრიაშვილი: იცით რაშია საქმე, ჩემი აზრით მართალია ეკა (ეკატერინე ფირცხალავას) ჩვენ რომ დავიწყებთ რაღაც ცვლიბებებს რას მივიღებთ?თუ დავუშვებთ ამას რაზეც ვალაპარკობთ, ამ პრეცენდენტის დაშვება თსუ-სთვის არ იქნება სასარგებლო, არა?

თამარ ვეფხავძე: დიახ სწორედ ეს არის გასათვლელი, ქალბატონი დალის(დალი კანდელაკი თსუ-ს სასაწავლო განყოფილების უფროსი) პოზიცია არის ასეთი, იმ ფალულტეტზე(სოციალურ დაპოლიტიკურ მეცნიერებათა), აზრთა სხვადასხვაობა ძალიან აქტიურია, ისედაც რთულია იქ შეთანხმება
თამარ გაგოშიძე - რადგან არის ასეთი მდგომარეობა გუგული უწევს ანგარიშს სტუდენთთა ამ მოთხოვნას. ჩვენც, მეც და საბჭოსაც ნამდვილად გვინდა კეთილგონიერი გადაწყვეტილების მიღება. სტუდენტების მდგომარეობა მესმის, რატომღაც ძალიან გვიან დაიწყეს ამაზე ფიქრი. თუ ადმინისტრაციას ვთხოვთ გადავიდეს პროგრამა დროებით, ახლა მე მაქვს კითხვა, სად ჩაირიცხება ფული ასეთი დროებითობის შემთხვევაში?
თამარ ვეფხვაძე -როცა მხოლოდ ერთი ფაკულტეტი აკეთებს ადმინისტრირებას, ფული რჩება იქ, თუ ეს პროგრამა ხდება ორივე ფაკულტეტის, ერთი აკეთებს ადმინისტრირებას და მეორეზე არის პროგრამა. მაგარამ აქაც არის პრობლემა იმ დიპლომს ხომ აწერია ამა და ამ ბრძნებით ჩაირიცხა ამ ფაკულტეტზე და დაამთავრა ესა და ეს ფაკულტეტი, გადაწყვეტილება ხომ ფაკულტეტის სხდომაზე და გადაწყვეტილებით იქნა, თუ ეს არ ჩაიწერა, მაშინ ნინო წერეთელი არ დაადასტურებს ამას. არ აღიარებს ამ დიპლომის ნამდვილობას.

ეკატერინე ფირცხალავა- ჩემი კითხვა ისევ იქ არის, ამ მგისტრატურას ხომ ემსახურება ჩვენი აკადემიური პერსონალი, პროფესორები, ამაზე რას ვაკეთებთ, ეს პროგრამა რომ გადავა ეს ხალხი მიყვება? თუ ეს ხალხი აქ რჩება? თუ არჩევანი გააკეთა ქლბატონმა გუგულიმ, და სექტემბერში აღმოჩაინა რომ იქ კარგია და აღარ მოუნდა უკან დაბრუნება , მაშინ ეს 2 სრული პროფესორ და მას მიმყოლი ასისტენტი და ასოცირებული პროფესორი სად მიდის? და ხელფასებს ვინ აძლევს?

თამარ გაგოშიძე: ალბათ რჩება აქ, თუმცა არ ვარ დარწმუნებული.

თამრ ვეფხვაძე: რა თქმა უნდა პროფესორი რჩება იქ, სადაც ის იქნა არჩეული და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ის არის იქ. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი არის გაკეთდეს ორი მოდულიეს იმ ფაკულტეტმა თავის მოდული გააკეთონ და თქვენ თქვენი . ორი მოდულით რომ იყოს და ხელძღვანელი თქვენ იყოთ ქ-ნო გუგული?

გუგული მაღრაძე: არა, არ ვარ თანახმა პროგრამის გაყოფის. მაშინ მე გადავალ იქ, მე მაგაზე თანახმა არ ვარ.

თამარ ვეფხვაძე : ამიტომ გასათველელია, ჩემი ღრმა რწმენით. ყველაზე კარგი იქნებოდა მოგვეწვია ეს სტუდენტები, და ეს ყველაფერი მათ მოესმინათ. ეს ჩანაწერი მათ მოისენინეთ (ფაკულტეტის სხდომებზე კეთდება აუდიო ჩაწერა).

თამარ აბაშიძე- პრობლემას ვერ ვხვდები. პროგრამა ამ ფაკულტეტზეა, მაგრამ ინტერდისციპლინურია და კვალიფიკაციისათვის საჭირო ყველა საგანს სთავაზობს.

თამარ ვეფხვაძე : კენჭისყრაზე დააყენეთ და გადაწყვიტეთ.

ზაქარია ქიტიაშვილი: ამ საბჭოს რამდენად შეუძლია გავლენის მოხდენა ამაზე?

თამარ ვეფხვაძე : სანამ თქვენ არ გადაწყვტთ მანამდე ისინი (სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებების ფაკულტეტი) ვერაფერს გადაწყვიტენ.

თამარ გაგოშიძე: ქალებტონი თამარ დობაია მეკითხება, მივიღეთ თუ არა გადაწყვეტილება ან როდის მივიღებთ?

თამარ გაგოშიძე: ქალბატონმა ლიკა ჩხიკვიშვილმა დამირეკა და მთხოვა,რომ " მე ავად ვარ და ვერ მოვალ, მაგრამ ქალბატონო თამრიკო გთხოვთ დააფიქსიროთ სხდომაზე ჩემი სათქმელი, მე არსად გადასვლას არ ვაპირებ, მე აქ ვიქნები და მოვემსახურები პროგრამას, მაგარამ გადასვლით არსად არ გადავალ."

თამარ ვეფხვაძე: ამიტომაც გითხარით, რომ ყველაზე სერიოზული არგუმენტი პროგრამის უკან დასაბრუნებლად თქვენთვის არის სწორედ ეს, რომ მთელი აკადემიური პერსონალი, უფრო სწორად დომინანტი აკადემიური პერსონალი არის სწორედ თქვენი ფაკულტეტიდან, ჩვენ უნივერსიტეტში გვაქვს ისეთი პროგრამები, როგორიცაა ევროპისმცოდნეობის, მიგრაციის მართვის სამაგისტრო პროგრამები, სადაც პროგრამას სხვადასხვა მიმართულებები ემსახურებიან.

მაგალითად, ადმინისტრირება ხდება იურიდულ ფაკულტეტზე და კვალიფიკაციას ანიჭებს ეკონომიური ფაკულტეტი. ამ პრობლემის გადასაწყვეტად, რომლიც აკადემიური საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა, საბჭოს სხდომაზე მოიწვიეს სამივე ფაკულტეტის დეკანი, და სამივე დეკანთან ინტერვიუს საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება აკადემიურმა საბჭომ. ამიტომ თუ ეს ასე მოხდა და პროგრამა გადავიდა მეორე ფაკულტეტზე და ადმინისტრირება განხორციელდა აქ.

მეორე შემთვევაში, თუკი საკითხი დაისმებოდა შტატებთან დაკაშრებით, მაშინ უნდა დაიცვათ თქვენი პოზიცია, რომ აკადმიური პერსონალი არის ამ ფაკულტეტიდან,

ეკატერინე ფირცხალავა: და თუ უარს ვამბობთ მაშინ რა ხდება? სტუდენტების მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. ისედაც, თუ ადმინისტრირება აქ განხორციელდა, ჩვენი ფაკულტეტის

სახელი ჩაიწერება, რაც სტუდენტებს არ აწყობთ. მათ ხომ ზუსტად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელი უნდათ დიპლომში.
თამარ გაგოშიძე: მეგობრებო კეთილგონივრული გადაწყვეტილებაა საჭირო.
ლალი სურმანიძე -იმისთვის რომ გადავიდეს პროგრამა მოქმედმა სტუდენტებმა ყველამ უნდა მოაწეროს ხელი, ეს ნიშნავს. რომ ახლა პირველკურსელები არიან იქ მეორე კურსელები იქნებიან, და ასევე ამასობაში გუგულიმ წელს რომ ხალხი უნდა მიიღოს ისინი სად მიდიან?
ბელა პეტრიაშვილი -ახლა ხელს თუ მოაწერს ეს იმას ნიშნვს რომ იქ უნდა დაამთავროს არა? ანუ გამოდის, რომ კონკრეტულად ამ სტუდენტების დაკმაყოფილება იზოლირებულად ვერ ხერხდება?

თამარ ვეფხვაძე: ჩვენ ეს რომ ვუთხარით სტუდენტებს, არ ესიამოვნათ. დღეს არჩილ კუკლავამ ხაზგასმით გაიმეორა, გადასავლის შემთხვევაში ყველა პირველკურსელის ხელისმოწერა და თანხმობაა საჭიროო.

გუგული მაღრაძე: სტუდენტების პრეტენზიაა, რატომ ჩვენ სექტემბერშივე არ გვითხარით, ჩვენ რომ გვცოდნოდა, გადვიდოთ პოლიტოლოგიაზეო
თამარ ვეფხვაძე: ეს ყველაფერი დაანონსებული იყო, და გარდა ამისა ეს იყო რექტორის, ლადო პაპავას წინასაარჩევნო პროგრამაში, ამას ეძღვნებოდა პრესკონფერენციები, და ასევე, კოლეგებო 3 მარტამდე ყველას სტუდენტს ქონდა არჩევანის გაკეთების უფლება.
თამარ გაგოშიძე: გეთანხმებით, გული მწყდება, რომ ადრე არ მომაკითხეს, ვერ გავიგე რატომ გამირბოდნენ და სად დადიოდნენ ეს სტუდენტები. დეკემბერშივე რომ დაგვეწყო ამ საკითხის განხილვა აუცილებლად მოვასწრებდით და მობილობით მაინც გადავიყვანდით, არა?
ეკატერინე ფირცხალავა: ეს ხომ არ გამოწყვევს სხვა ძვრებს როგორც ჩვენთან ისე სხვა ფაკულტეტებზე, აი მაგალითად განათლების ფაკულტეტი გადმოვიდა მთელი თავისი მაგისტრატურით და დოქტორნატურით, ვაიდა იქ რომლიმე პროგრამა თვლის, რომ ჰუმანიტარულზე უნდა იყოს და არა ფსიქოლოგიაზე, და იმათაც მოგვმართონ იგივე თხოვნით, პრეცენდენტის დაშვება რამდენად შეუწყობს ხელს ამ პროცესის განახლებას? თან ჩვენ კიდევ არაფერი, დიდი ფაკულტეტებისთვის არ იქნება კარგი.
თამარ ვეფხვაძე : თქვენი სამსჯელოა, ამ შემთხვევაში ეს თქვენ უნდა გდაწყვიტოთ, დიდი მადლობა მოწვევისთის, მე იმიტომ მოვედი, რომ საკითხი გამეშუქებინა. თუმცა არვითარ შემთვევაში არ უნდა არსეობდეს განცდა იმისა რომ ადმინისტრაცია თავს გახვევთ რამეს.

გოგი გოროშიძე: საქმის კურსში არ იმყოფები რას ნიშნავს? სწავლა როდის დაიწყო და დეკემბერში იგებენ? ეს არგუმენტი არ მოქმედებს საქმის ამგვარად განხორციელებაზე.
ირინა ჟვანია- ძალიან უცნაურია, რომ ადმიანმა არ იცის რომელ ფაკულტეტზე სწავლობს, და როდესაც გაიგეს მაშინაც დროულად არ მოგვმართეს. საერთოდ, რომ თავი დავანებოთ ამას არ შეიძლება?, ნუ ავყვებით ამ პროტესტს და პროგრამა დარჩეს სადაც არის.
ქეთევან ჭკუასელი: მოვიდეს ტელევიზია და მერე რა? მოვიდეს პრესაც და ტელევიზაიც.
თამარ ვეფხვაძე: კოლეგებო, აქ უმთავრესია, უპრიანია გავთვალოთ ყველა სავარაუდო შესაძლებლობა რა ფაქტის წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ და ყველაფერზე გვქონდეს არგუმენტირებული პასუხი, იმიტომ რომ მაღალი ალბათობით მეორე ფაკულტეტი პროგრამის გადატანაზე არ იტყვის უარს, მაგრამ აი დაბრუნებაზე რას იტყვის, უკვე არ ვიცი.

ქეთევან ჭკუასელი: რა გარანტია გაქვს რომ ის სტუდენტები რომლებიც გადაყვებიან ახლა ამ პროცესს, მერე უკან დაბრუნებას ინდომებენ?
ბექა დადეშქელიანი სტუდენტი: თუ ვამბობთ რომ პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებული უნდა იყოს, უნდა ფაკულტეტზე დარჩეს, სხვანარიად ეს გამოიწვევს სიტუაციის არევას. თუ იმათი უფლებები ირღვევა, ჩვენი, სხვა სტუდენტების უფლებებიც არ ირღვევა? მაშინ ჩვენც გვკითხონ, ასე ხომ არ შეიძლება?
შალვა აბზიანიძე: ჩვენ რამდენიც არ უნდა ვილაპარკოთ და ვიკამათოთ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს გუგულიმ, როგორც გუგული იტყვის ისე იქნება.
ეკატერინე ფირცხალავა: თუ ეს ასე უნდა იყოს, მაშინ ჩვენ რისთვის მოგვიწვიეს, ვინ ვართ ჩვენ და რატომ გვეკითხებიან?
თამარ ვეფხვაძე: მხარი ან უნდა დაუჭიროთ ან არა, არგუმენტების და კონტრარგუმენტების შეპირისპირებით შეიძლება გადაწყვეტილების მიღება.
შალვა აბზიანიძე: წინაარმდეგი კი არა ვარ, მაგრამ საბოლოო სიტყვა ეკუთვნის გუგულის.
თამარ ვეფხვაძე- ახალგზარდა მამაკაცს, ბექას უნდა ვუპასუხო. რასაკვირელია მე რომ ერთი წუთით მაინც ვიზიარებდე იმ სტუდენტების, მომავალი ჩვენი კოლეგების არგუმენტაციას, მათ არავინ არ დაჩაგრავთ იმის გამო რაც ეწრებათ დიპლომში ეს ნონსესნია. მეორე მხრივ, მომხმარებელი ვიცით ყოვლეთის მართალია, მაგრამ რეალურად ეს არის ძალიან აბსურდული მოცემულობა რომლსაც უნდა მოყვეს ამხელა კასკადი ცვლილებების თუ პროცდურული, თუ შიანარსობრივი.
კოლეგებო მე კენჭისყრაში მონაწილებას ვერ მივიღებ ობიექტურად. (თამარ ვეფხვაძემ დატოვა სხდომა)

საკითხის განხილვა გაგრძელდა საბჭოს სხდომაზე.

შალვა აბზიანიძე: მე ვაგრძლებე ჩემს აზრს - ჩვენ რამდენიც არ უნდა ვილაპარკოთ და ვიკამათოთ, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს გუგულიმ, როგორც გუგული იტყვის ისე იქნება.
გუგული მაღრაძე : ისინი ითხოვენ, რომ მხოლოდ მათთვის გააკეთოს ეს უნვერსიტეტმა, უნივერსიტეტი ხარ, ავტონომიური ხარ და რამე გააკეთეო.

მედეა დესპოტაშვილი : მათ თავშიი კიდევ რამე რომ მოუდენეთ და ხელი რომ მოაწერონ, რა ვქნათ მერე?
ზაქარია ქიტიაშვილი -პროგრამის ხელმძღვანელს და ამ 10 ადამიანს უნდა ვუპასუხით ასეთი არგუმენტებით:
კითხვაზე არ ვიცოდით ადრეო - ტყუილია, განცხადებით უნდა გაეგოთ. მეორეც, ფსიქოლოგია თვითონ გასცემს პროგრამულად პასუხს, ამ ორივე არგუმენტი თუ წარმოვადგენთ, ქალბატონო გუგული თქვენც დარჩენა თუ გინდათ ცალსახად ავიღოთ და ვთქავთ, რომ ამ არგუმენტების გათავლისწინებით ვერ დავაკმაყოფილებთ მოთხოვნას.

თამარ გაგოშიძე- გუგული სად იგრძნობს თავს კომფორტულად და სად ხედავს თავის განვითარებას? პატივს გცემ და მიმაჩნია, რომ შენ ხარ ამ პროგრამის ხელძღვანელი და შენ უნდა გადაწყვიტო, თუ ამას იმიტომ ფიქრობ რომ სტუდენტემა ჩამოგაკითხეს ქუთაისში? და ამის შემდეგ შენი აზრი მაინტერსებს.
გუგული მაღრაძე - ცოტა უხერულობას გრძნობ, როცა გეუნებიან რომ ლექციაზე რომ შემოდიოდით ერთხელ მაინც გეთქვათ, რომ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ვართ, უბრალოდ მე

არ მიფიქრია ამაზე, იანვარში მოვიდენ და ქალბატონო გუგული ეგეთი ამბებია, გვიშველთო, დეკემბერში გავიგეთ ცნობისთვის რომ მივედითო. გასაგზავნად გვიდნოდა ეს ცნობა, როცა და როცა გავაგზავნეთ ევროპის უნივერსიეტეში ჩვენ მოგვივდა, რომ თქვენ არ ხართ შესაბამისი ამ ფაკულტეტის, თუ შესაბამისი ხარ მაშინ უფასოა და თუ არა, მაშინ ფულია გადასახდელი, და რატომ უნდა გადავიხადოთო.

კუკულავას ველაპარკე გამონაკლისებზე, მაგარმ არაო, ტატამ უცნაური არგუმენტებიაო.

შორენა მამუკაზე- ეს ათივე სტუდენტი ასეთი აქტიურია სწავლისას?

გუგული მაღრაძე: კი 10-ვე დადის ლექციაზე ასე არ არის მედეა?

მედეა დესპოტსაშვილი: 10-ვე არასდროს ყოფილა ლექციაზე.

გუგული მაღარძე: მე ვამბობ, ტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, გადავიდე 2016 წლის აკრედიტაციამდე.

ლალი სურმანიძე - ახალი მაგისტრი სოც.პოლზე ჩააბარებს?

თამარ გაგოშიძე - ცხადია იქ აბარებს, რადგან პროგრამა იქ არის.

ეკატერინე ფირცხალავა - შემედეგ, უკან გადმოსვლის შემთხვევაში, მომავლი პირველკურსელი იტყვის მე სოცპოლზე ჩავაბარე სად მიგყავრთო?

ლალი სურამნიძე- იგივე უნდა მეთქვა.

მანანა მელიქიშვილი -დარწმუნებული ხართ პირველი კურსელების პოზიციაში? იცით მათ რა უნდათ?

გუგული მაღრაძე - დღეს უნდა შევხვდე მათ 7 ზე, პირველმა კურსელება მითხრეს, რომ ჩვენ ცხადია სოც.პოლზე გვირჩვენია, მაგრამ თუ გამოუვალი მდგომარეობა იქნება პროგრამის ხათრით და თქვენი ხათრით მოვიქცევით ისე, როგორც საჭიროაო.

ლილი ხეჩუაშვილი: აქ მნიშვნელოვანია შტატების საკითხი.

თამარ გაგოშიძე: სიმართლე გითხრათ ეს პროგრამა სად იქნება ჩემთვისაც არ არის პრობლემა, მე როგორც ადმინისტრატორს ცხადია მადარდებს შტატები? ამიტომ ვეკითები გუგულისს სად უნდა? მე მაინტერსებ ჩვენს ფაკულტეტს დარჩება თუ არა შტატები. შტატებზე მე ვაცხადებ ძალიან მკაფიოდ, ეს მოხდება შტატების გარეშე, ეს არის ფსიქოლოგიის შტატები.

ზაქარია ქიტიაშვილი -დავსვათ საკითხი. თანახმა ვართ თუ არა შტატების გადასვლასთან დაკავშებით?

თამარ გაგოშიძე -მე მგონი ორი საკითხი უნდა დაისვას.

გაიმართა კამათი შტატების საკითხთან დაკავშირებით.

თამარ გაგოშიძემ წაიკითხა კუკულავას წერილი პროგრამის გადასვლასთან დაკავშირებულ იურიდულ საკითხებზე.

გაიმართა კამათი ადმინისტრირების შემთხვევაში ხელფასებს ვინ გადაიხდის, რომელი ფაკულტეტი.

ხატი ჟვანია: ეს როგორ ხდება, პროგრამა, თუ აქ რჩება და იქ სტუდენტი სად უნდა გადაიყვანო, თანაც ამ სტუდენტებს ხომ უნდათ სოც.პოლი ჩაეწეროთ?

თამარ გაგოშიძე - ეს ნიშნავს, რომ იმათმა ჩვენ უნდა გადაგვიხადონ ფული მომსახურებისთვის, რადგან აქედან იქნებიან შემსრულებლები და ასეთი რამ არ მოხდება.
შალვა აბზიანიძე- ეს იქნება გადასარევი პრეცედენტი, ჩვენ ძალიან ბევრ ფაკულტეტს ვემსახურებით და ეს იქნება კარგი პრეცენდენტი, რომ სხვა ფაკულტეტებმა გადაგვიხადონ ფული მომსახურებაში.

თამარ გაგოშიძე -ჩვენ კეთილგონიერი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. დროა დავაყენოთ საკითხი.
დიდი ხანი იყო მსჯელობა რა რის ვირტუალური გადასვლა და რეალური, ნამდვილი გადასვლა.

ხატი ჟვანია- მე მგონი ყველაფერი ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია. არცერთი ვარიანტი არ გვაწყობს.

თამარ გაგოშიძე: საკითხს ვაყენებ შემდეგი სახით:
ვინ არის მომხრე პროგრამის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გადატანის.

ვატო ნადარეიშვილი- ჩვენ გვეკითხება ვინმე პროგრმის გადატანას, თუ ჩვენ გვეკითხებიან შტატები გვინდა თუ არა რომ გადავიდეს?
ზაქარია ქიტიაშვილი: მე მგონი უნდა დავსვათ საკითხი გადავიდეს თუ არა პროგრამა სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე. თუ ამ საკითხმა მოიპოვა მხარდაჭერა, შედეგ დავსვათ საკითხი შტატების გადატანის შესახებ.

საკითხი დაზუსტდა თამარ ვეფხვაძესთან ტელეფონით. მან დაუდასტურა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, რომ ფაკულტეტის საბჭოზე უნდა დაისვას საკითხი პროგრამის სხვა ფაკულტეტზე გადატანის შესახებ და ფაკულტეტის საბჭომ გამოხატოს თავისი ნება.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა შესთავაზა საბჭოს გამოტანილ იქნას კენჭისყრაზე შემდეგი საკითხი: სამაგისტრო პროგრამა კონფლიქტების ანალიზი და მართვა გადატანილ იქნას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებათა ფაკულტეტზე.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 16
თავი შეიკავა - 2

<u>დაადგინეს:</u>
კონფლიქტის ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა არ გადავიდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და დარჩეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

2. **მაგისტრებისთვის ენის ცოდნის დონის განსაზღვრა**

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს შეახსენა მაგისტრანტების ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებული საკითხი.
ქეთევან ჭკუასელი: საკითხი ეხება სამაგისტრო პროგრამის B2 დონეზე დასრულებას. ჩვენ პროგრამაში სტუდენტი შემოდის B1 დონით და დასრულებისას უნდა ჰქონდეს ენის ცოდნის B2 დონე. შესაბამისად, მან უნდა ჩააბაროს გამოცდა ენაში.
თამარ გაგოშიძე: ზოგიერთი ჩვენი პროგრამა წინაპირობად ითხოვს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნას. ამიტომ ალბათ ორივე პრაქტიკა მისაღებია. მთავარია, მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია ჰქონდეს ენის ცოდნის B2 დონე.
გამოითქვა მოსაზრებები:
აზრი გამოთქვეს: ზ.ქიტიაშვილმა, მ. მელიქიშვილმა, თ გაგოშიძემ, შ. აბზიანიძემ, ლ. სურმანიძემ.

ასოც.პროფ. მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს არეგულირებს 2013 წლის N78 დადგენილება, სადაც ჩამოყალიბებულია თსუ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული უცხო ენების ცოდნის დონე. ამ დადგენილებით, ფაკულტეტზე სრულიად შესძლებელია სამაგისტრო პროგრამებს ჰქონდეთ სწავლის პროცესში ენის დახვეწის პირობა საბოლოო გამოცდით უცხო ენაში. ასევე მაგისტრობის კანდიდატებს შეუძლიათ ჩააბარონ გამოცდა უცხო ენაში, თუ ამას ითხოვს სამაგისტრო პროგრამის წინაპირობა.

<u>**დაადგინეს:**</u>

ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამებმა იხელმძღვანელონ 2013 წლის N78 დადგენილებით და აარჩიონ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელსაყრელი ვარიანტი.

3. სტუდენტთა სტიპენდიებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა.

დეკანის მოადგილემ სასწავლო დარგში, ასოც.პროფესორმა შალვა აბზაინიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო პრობლემები რომელიც დაკავშირებული იყო სტუდენტების სტიპენდიებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებთან. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებს თვითონ კრიტერიუმებთან არ აქვთ პრეტენზიები, მაგრამ მიაჩნიათ, რომ წინასწრა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მათი აქტივობების სფეროები.
შესაბამისად, კრიტერიუმები დარჩება იგივე და განიმარტება, რომ ეს აქტივოებები კავშირში იქნება ფსიქოლოგიასთან და განათლების მეცნიერებებთან. კერძოდ, ტრენინგი, სტატია და კონფერენცია უნდა იყოს განათლების და ფსიქოლოგიის მეცნიერებებში.
მან ისაუბრა ასევე აპელაციის წესებთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: მ. მელიქიშვილმა, თ. გაგოშიძემ.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>**დადგინეს:**</u>
მიღებულ იქნას დაზუსტებული სახით წარმოდგენილი სტუდენტთა სტიპენდიებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები.

4. **სადოქტორო პროგრამებზე წინაპირობების შეცვლის შესახებ ინფორმაცია**

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა გააცნო საბჭოს სადოქტორო პროგრამების განახლებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და თხოვა პროგრამის ხელმძღვანელებს, თუ ისინი გეგმავენ ცვლილებებს სადოქტორო პროგრამებზე მიღების წინაპირობებში ერთი კვირის განმავლობაში მიაწოდონ ინფორმაცია.

5. **სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებით ლალი სურმანიძის ინფორმაცია**

საინფორმაციო გაცნობითი ინფორმაცია
დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ლალი სურმანიძემ წაარმოადგინა ინფრომაცია სამცნიერო სამსახურის სამუშოს მიმიდინარე პროცესების შესახებ , ისაუბრა ორენოვანი სამცნიერო ჟურნალის დაფუძვნების შესახებ
სთხოვა საბჭოს წევრებ სტატიების მოზადება, გამოცემისთვის
კრიტერიუმები ფორუმში შესარჩევი ნაშრომებისთვის და ასევე სამეცნიერო პროექტებისთვის არსებული გამოცდილებსი გათავლისიწნებით.
მომავალი წლისთვის შეფასების კრიტერუმების შემუშავების კომისიის ჩმოყალიბება.საგრანტო პრგრამების და ფორუმისთის.

6. **ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის პედაგოგიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულების, მათ შორის ემმა ინასარიძის და ნონა ინასარიძის, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გდაწყვეტილების (ოქმის) აღდგენისა და თარიღის განსაზღვრის შესახებ.**

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ გააცნო საბჭოს შემდეგი საკითხი:
კურსდამთავრებულები ითხოვენ დიპლომის ახალ დანართებს, რადგან განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა დაუხარვეზა დიპლომები, რომლებიც არ შეესაბამება საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 8 ივნისის N 281 ბრძანებით დამტკიცებულ "უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის– დიპლომის ფორმას". აგრეთვე გარკვევით არ არის მითითებული დეკანისა და რექტორის სახელები და გვარები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია ემმა ინასარიძისა და ნონა ინასარიძის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც

ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის N 162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ 2009 წლის 24 მარტის N 162 ბრძანების მიღების შემდეგ სავალდებულო გახდა აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. ვინაიდან არ იძებნება ემმა ინასარიძისა და ნონა ინასარიძის მინიჭებული აკადემიური ხარისხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმი შეუძლებელია ახალ დიპლომში გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრისა და თარიღის მითითება, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებას.

„დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ“ რექტორის მიერ გამოცემული 2014 წლის 16 აპრილის 55/01-01 ბრძანების საფუძველზე სავალდებულოა დიპლომში მისათითებელი რეკვიზიტების დადასტურება ან/და დადგენა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ **ემმა ინასარიძე და ნონა ინასარიძე** 2002 წლის 16 სექტემბრის ბრძ. N 2/1 ჩაირიცხნენ ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის პედაგოგიკის ფაკულტეტზე (ამჟამად ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი).

აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი მათ დაამთავრეს 2007 წლის 4 ივლისის, ბრძ. N 2/7 §7–ით, მიენიჭათ დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი განათლებაში.

საქმის წარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 2007 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა ემმა ინასარიძესთან და ნონა ინასარიძესთან ერთად დაასრულა 10-მა სტუდენტმა (2007 წლის 4 ივლისის, ბრძანება N 2/7 §7 აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ), წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა სიას:

1. ბერძენიშვილი ესმა
2. ინასარიძე ოვსანნა
3. კურცხალია ნინო
4. მაცუკატოვი დიანა
5. მაღრაძე ირმა
6. მელიქიძე თამარ
7. ფანჯაკიძე ლამარა
8. შანთაძე ჯუნა
9. ტონაკანიანი მარკარიტ
10. ჭორუხიან რუსუდან

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ემმა ინასარიძის და ნონა ინასარიძის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო

მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

„დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ“ რექტორის მიერ გამოცემულ 2014 წლის 16 აპრილის 55/01-01 ბრძანების თანახმად „შექმნილი დოკუმენტის რეკვიზიტების (თარიღის, ნომრის, კვალიფიკაციის) დადგენის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქმეში არსებული დოკუმენტების ანალოგიით, ასევე საქმეში არსებული სამართლებლივი აქტების რეკვიზიტებით.“

შესაბამისად, **აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად პირობითად უნდა განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად - რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.** ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს: შ.აბზიანიძემ,ვ, ნადარეიშვილმა

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ სოფიკო ზარანდიას შესახებ. სოფიკო ზარანდიამაც იგივე პრობლემით მიმართა უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენს. მისი დიპლომიც დახარვეზებულ იქნა დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების არ არსებობის გამო. საჭიროა სოფიკო ზარანდიას დიპლომში ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმისა და თარიღის აღდგენა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარემოება და დადგინდა, რომ სოფიკო ზარანდია, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, 2003 წლის 12 სექტემბერს N4/271 ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და განათლების სპეციალობაზე.

სწავლის შედეგებიდან ჩანს, რომ სოფიკო ზარანდიამ დაამთავრა თსუ ზუგდიდის ფილიალის ჰუმანიტარული ფაკულტეტი 2007 წელს და მიენიჭა განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. (ბრძ.N 01–04/113, 10.08.2007წ.).

საქმის წარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 2007 წელს აღნიშნული ბრძანებით განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოფიკო ზარანდიასთან ერთად მიენიჭა 30 ბაკალავრს.

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება სოფიკო ზარანდიას სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

„დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ“ რექტორის მიერ გამოცემულ 2014 წლის 16 აპრილის 55/01-01 ბრძანების თანახმად „შექმნილი დოკუმენტის რეკვიზიტების (თარიღის, ნომრის, კვალიფიკაციის) დადგენის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქმეში არსებული დოკუმენტების ანალოგიით, ასევე საქმეში არსებული სამართლებლივი აქტების რეკვიზიტებით.“

შესაბამისად, **აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად პირობითად უნდა განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად - რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.** ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა -0
დაადგინეს:
1. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის პედაგოგიკის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულებს, მათ შორის **ემმა ინასარიძეს და ნონა ინასარიძეს,** აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2007 წლის 4 ივლისი და ნომრად N 2/პ.
2. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ჰუმანიტარული ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულებს, მათ შორის სოფიკო ზარანდიას აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს 2007 წლის 10 აგვისტო და ნომრად N 2/პ.

7. ეკატერინე ფირცხალავას წერილი შემოქმდებით შვებულებაში გასვლის შესახებ ერაზმუს მუნდუსის პოსტ დოკ-ის სტიპენდიის მიღებასთან დაკავშირებით.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ეკატერინე ფირცხალავას, განცხადება, რომელიც 2015-2016 აკადემიურ წელს ერაზმუს მუნდუსის პოსტდოქტორის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში 2015 წლის 18 სექტემბრიდან 2016 წლის 18 მარტამდე მიწვეულია მინჰოს უნიევრსიტეტში, პორტუგალია. საუნივერსიტეტო საათობრივ დატვირთვა შესრულდება ასიმეტრიულად, 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრში. ეკატერინე ითხოვს, ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულების გაოფრმებას 1 ნოემბრიდან ორი თვით (შემოქმედებითი შვებულების 10 თვიდან დახარჯული აქვს 8 თვე).

კენჭი უყარეს:

მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დადგინეს:</u>
დაკმაყოფილდეს ეკატერინე ფირცხალავას თხოვნა კუთვნილი შემოქმედებითი შვებულების შესახებ.

სხვადასხვა:

მოისმინეს: ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელმა ბექა დადეშქელიანმა საბჭოს გააცნო სტუდენტების მიერ დაყენებული საკითხი კოლოქვიუმების რაოდენობის შემცირების შესახებ. მან წარმოადგინა საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტები და ითხოვა განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ და იმსჯელონ ამაზე და მიიღონ გადაწყვეტილება.
წინადადება გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა.
აზრი გამოთქვეს: თ.გაგოშიძემ, ლ სუმანიძემ, შ. აბზიანიძემ, გ. გოროშიძე, ლ. სურმანიძემ, ვ. ნადარეიშვილმა.

დაადგინეს: პროფესორებმა სტუდენტებთან იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე და შემდგომ სხდომაზე წარმოადგინონ გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე
პროფ. თ. გაგოშიძე

სხდომის მდივანი:
ასისტ./პროფ.
ე. ფირცხალავა

25.05.2015